ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 15 (1416)

6/V-13/V 1995 წ.

ცივილიზებულმა კაცობრიობამ სახელმწიფოს მართვის ოპტიმალური ფორმისათვის ხელისუფლების ოთხი განშტოება გამოჰყო: საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო და ე.წ. IV ხელისუფლება. საქართველოში ერთიც კაი ხვითოა, მეორეც, მესამეც და მეოთხეც. ჩვენი გაზეთი იწყებს წერილების ციკლის გამოქვეყნებას, რუბრიკით – «ხელისუფლებათა იერარქია». დღეს გესაუბრებით მე-4 ხელისუფლებაზე.

ნოდარ გრიგალაშვილის წერილი „ქართული ჟურნალისტიკის მახინჯი მხარე“

იხ. მე-4 მე-5 გვ.

ზესტაფონიდან სილიკო-მანგანუმის გატანა აიკრძალა. ძალიანაც მკაცრად აიკრძალა. აბა რა უნდა ექნათ, ქალაქს ლამის არის ძირი გამოუთხარეს.

მაგრამ, ვინ ქართველი და ვინ გულგატეხილობაო... ერთ ბნელ ღამეს სატვირთო მატარებლის ვაგონები არახრახდა და აკრძალული ტვირთი ფოთში ჩარახრახდა...

ამ საკითხზე მასალა იხ. მე-6 გვერდზე

ან ფული, ან... პარტია ამბობენ, მაფია სიცილიაში მაშინ შეიქმნა, როცა მებატონეებმა გლეხებს წყალი არ მისცეს. საქართველოში გაკოტრებულ კომპანიათა მეანაბრეები ჯერ-ჯერობით კიდევ ელოდებიან მთავრობის წყალობას...

იხ. მე-2 გვერდზე

ამ დღეებში ჩატარდა გამოჩენილი ქართველი მამულიშვილის მეამედ აბაშიძის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე. ჩვენი გაზეთი ეხმაურება ცნობილი მოღვაწის საიუბილეო თარიღს.

ამ თემაზე მასალა იხ. მე-7 გვ.

თამაზ ნადარეიშვილი: „... მაშინ 16 მაისის აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სხდომაზე მივიღებთ გადაწყვეტილებას რუსეთის სამშვიდობო ძალების აფხაზეთიდან გაყვანაზე!“

15 მაისს იწურება ვადა რუსეთის სამშვიდობო ჯარების აფხაზეთში ყოფნისა. რას ფიქრობენ ქართველი პოლიტიკოსები?

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 15 მაისს აფხაზეთში მყოფი რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატს ვადა გაუდის. ამასთან დაკავშირებით, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს ესაუბრა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი...

— ბ-ნო თამაზ, როცა რუსეთის ფედერალური ჯარები ჩეჩნეთში პირდაპირ შეტევაზე გადავიდნენ, მაშინ თქვენ განაცხადეთ, რომ დადგა ხელსაყრელი დრო აფხაზეთის ძალით დაბრუნებისა. ამ განცხადებას თავის დროზე არაერთგვაროვანი რეაქცია მოყვა, მათ შორის ჩვენი გაზეთის მხრიდან. ეს გამიზნული სვლა იყო თუ ნაჩქარევი და მოუფიქრებელი განცხადება?

— აღნიშნულ განცხადებაზე არაერთგვაროვანი რეაქციები, ჩემთვის ცნობილია. შევნიშნავ, რომ ჩვენ საქართველოს მთლიანობის აღდგენისათვის ვიბრძვით და ჩემი მხრიდან ეს სულაც არ ყოფილა დაუფიქრებელი ნაბიჯი. მითუმეტეს, რომ მოწინააღმდეგისათვის ისედაც ცნობილია ჩვენი სვლები და ამდენად ჩემი განცხადება მტერზე ერთგვარი ფსიქოლოგიური ზეგავლენისათვის იყო გათვალისწინებული. დაე, მათაც იფიქრონ ამაზე, ჰქონდეთ შიში და იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან დადგება მათი განკითხვის ჟამიც.

— ბ-ნო თამაზ, რახან 15 მაისს რუსეთის სამშვიდობო ჯარებს აფხაზეთში ყოფნის ვადა გაუდის, იქნებ ზოგადად შეგეფასებინათ საერთო ვითარება.

— აფხაზეთის დაბრუნების ორი გზა არსებობს — მშვიდობიანი და ძალისმიერი, მესამე გზა გამორიცხულია! პირადად მე პოზიცია არ შემიცვლია და ეჭვიც არ შემპარვია, რომ აფხაზეთს ჩვენ მშვიდობიანი გზით არავინ დაგვიბრუნებს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს უარის თქმას მშვიდობიან გზაზე, მითუმეტეს, რომ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამას ითვალისწინებს. ჩვენ ამ პოლიტიკისათვის ხელი არ შეგვშლია. პირიქით, ყოველნაირად ვუწყობდით და ვუწყობთ მას ხელს, მონაწილეობას ვღებულობდით მოლაპარაკებებში. მოსკოვში ამჟამადაც იმყოფება ჩვენი ჯგუფი, მაგრამ, სამწუხაროდ ამ საქმიდან სასიკეთო ჯერ არაფერი მიგვიღია. ყველაფერი ამის გათვალისწინებით 15 მაისი ჩვენთვის ის წყალგამყოფია, როცა სხვანაირი მოქმედება უნდა დავიწყოთ. მანამდე კი ჩვენ მივდიოდით (და ნაწილობრივ ახლაც მივდივართ) დათმობებზე — სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელება, ბაზების დათმობა და ა.შ. მოგეხსენებათ, რუსეთის ერთერთი მთავარი სამხედრო ბაზა სწორედ აფხაზეთის ტერიტორიაზეა განლაგებული. მაგრამ ყველაფერი ამაო ჩანს და სამწუხაროდ მართლდება ჩემი თავდაპირველი ვარაუდი — აფხაზეთს ჩვენ მშვიდობიანი გზით არავინ დაგვიბრუნებს!

— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მას შემდეგ, რაც თბილისში ფუნქციონირება **დაიწყო აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის დადგენილებით აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხები აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე არ განიხილება. რამდენად სრულდება პრაქტიკულად ეს დადგენილება?**

— ვიდრე უშუალოდ კითხვაზე გიპასუხებდეთ, აღვნიშნავ, რომ ეს დადგენილება შემობრუნების მომენტად იქცა აფხაზეთის პრობლემების გადაწყვეტაში. მანამდე გადაწყვეტილებებს ისე იღებდნენ, რომ ჩვენ არაფერს გვითანხმებდენ, არ გვეკითხებოდნენ... ხშირად ამ გადაწყვეტილების შესახებ, პირადად მე ტელევიზიით ვგებულობდი ხოლმე. ახლა ვითარება შეიცვალა. მაგალითად, საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ჩვენს გარეშე ამ საკითხებს საერთოდ არ განიხილავს. თუმცა, გამონაკლისი შემთხვევა იყო, როცა რუსეთისათვის საქართველოში სამხედრო ბაზების 25 წლით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებას ისე მოაწერეს ხელი, რომ ამის თაობაზე ჩვენ არაფერი ვიცოდით. რაც შეეხება ქვედა ეშელონებს, აქ დარღვევები უფრო ხშირია.

— ისევ მთავარ საკითხს დავუბრუნდეთ: თუკი ამ დღეებში (15 მაისისათვის) ლტოლვილთა დაბრუნების პროცესი არ დაიწყება, თუკი ყველაფერი ძველებურად დარჩება, მაშინ როგორი იქნება თქვენი, როგორც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და თქვენი როგორც მოქალაქის პოზიცია?

— ვიმეორებ, მეეჭვება აფხაზეთის მშვიდობიანი გზით დაბრუნება. (ღმერთმა ქნას, ჩემი ეს აზრი არ გამართლდეს). მაგრამ როგორც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვალდებული ვარ 15 მაისამდე როგორც ხელისუფლების წარმომადგენელმა რუსეთის მხარესთან ერთად ყველაფერი ვიღონო საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, მითუმეტეს, რომ გარკვეული სასიკეთო შემობრუნება რუსეთის პოზიციაში მაინც არის. მაგრამ თუკი ყველაფერი ძველებურად დარჩება, მაშინ 16 მაისის აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სხდომაზე მივიღებთ გადაწყვეტილებას რუსეთის სამშვიდობო ძალების აფხაზეთის ტერიტორიიდან გაყვანაზე! მათი ყოფნა რა თქმა უნდა შეფასებული იქნება უარყოფითად. ამის შემდეგ ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არა ძალის გამოყენებისა. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა,რომ ამ საქმეს თავი გავართვათ. ჩვენი ბიჭები ერთნახევარი წლის განმავლობაში იცავდნენ სოხუმს გაერთიანებული ძალებისაგან, რომელთა შორის ლომის წილი რუსებს ეკუთვნოდათ. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ თუკი ჩვენ ვერ ვისარგებლეთ ხელსაყრელი მომენტით, როცა ფედერალურმა ჯარებმა ჩეჩნეთში ფართომასშტაბიანი ოპერაცია წამოიწყეს, ახლა დაყოვნება აღარ შეიძლება.

მე გარდა იმისა, რომ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გახლავართ, უპირველესად ქართველი კაცი ვარ, მოქალაქე, ვისაც მშობლიურ გაგრაში ამომიხოცეს ახლობლები, ნათესავები, მეგობრები... დაიღუპნენ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ჩემი აპარატის თანამშრომლები, რომლებიც ბ-ნ ჟიული შარტავასთან ერთად იყვნენ, მე მოვალე ვარ ვიბრძოლო მათი საფლავების გამოსახსნელად და მოსავლელად, ბევრი მათგანი დღესაც საფლავს ელოდება, დაუმარხავია...

აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ პირადად მე და ჩემი ოჯახი თითქმის ორი წელია თბილისში ვართ. თბილისმა გულში ჩაგვიკრა, მოგვეფერა, ეს კოშმარი გადაგვატანია, მადლობა ამისათვის! მაგრამ ჩემი გული მაინც აფხაზეთისაკენ მიიწევს... უკიდურეს შემთხვევაში თუ ვერ დავბრუნდებით, დავიხოცებით მაინც სამშობლოსათვის ბრძოლაში.

— თუკი საქმე იქამდე მივიდა და 16 მაისს აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის ძალისმიერი გზით დაბრუნებაზე, როგორ შეხვდება ამას საქართველოს ხელისუფლება, იქნებ არ გაიზიაროს ეს გადაწყვეტილება?

— ეს სულაც არაა გამორიცხული, მაგრამ როგორ მოვიქცევით ასეთ ვითარებაში, მოდით ამის თაობაზე ახლა ნუ ვილაპარაკებთ.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ და ღმერთი იყოს ბ-ნო თამაზ თქვენი და თქვენი თანამებრძოლების მფარველი ამ უძნელეს გზაზე.

ან ფული, ან ... პარტია?

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის სხდომათა დარბაზში 28 აპრილს ბატონმა რომან გოცირიძემ გამართა საკონსულტაციო შეხვედრა გაკოტრებულ კომპანიათა მეანაბრეებთან.

ბატონმა რომანმა თავიდანვე გააფრთხილა დამსწრენი, რომ იგი გამოდიოდა არა როგორც პოლიტიკური ფიგურა, არამედ როგორც რიგითი ეკონომისტი, რათა ისაუბროს ზარალის კომპენსაციის საკანონმდებლო გზებზე.

ეს არის სახელმწიფო მნიშვნელობის პრობლემა და მას სჭირდება სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტა — განაცხადა რ. გოცირიძემ.

დიდი ვნებათაღელვანი პატარა დარბაზში

მოტყუებულ მეანაბრეთა რიცხვი დარბაზში ნელ—ნელა იზრდებოდა. ცოტა ხანში ნემსიც კი არსად ჩავარდებოდა. ხალხით გაივსო წინკარი, გასასვლელები, სცენა და მისი მიმდებარე ოთახები. ეკონომისტის მიერ მიცემული რჩევები, რომლებიც შედარებით შორეულ მომავალზე იყო გათვლილი, რამდენიმე მეანაბრეს ნამდვილად არ მოეწონა. „დამიბრუნეთ ჩემი ფული“ — იყო მოთხოვნა დარბაზიდან. რომან გოცირიძემ კვლავ გაიმეორა მის მიერ ადრე, პრესაში (იხ. გაზ. “საქართველო“ №13) გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე,რომ ამ პრობლემის გადაწყვეტის მეტნაკლებად რეალური საფუძველი მაშინ შეიძლება წარმოიქმნას, თუკი ხელისუფლება მეანაბრეთა ფონდს (ან მათ სხვაგვარ გაერთიანებას) მისცემს რეალურ ქონებას (ან წილს რომელიმე მოქმედი სახელმწიფო საწარმოდან) და ამ ქონების ამოქმედებისთვის გამოყოფს ფინანსურ საშუალებებს (კერძოდ სესხს).

არის ასეთი პარტია, მას „მეანაბრე“ ჰქვია?

მეანაბრეები დიდხანს ბჭობდნენ, თუ რა გზას დასდგომოდნენ. გამოითქვა აზრი,რომ ბევრი კომპანია გაკოტრდა სახელმწიფო სტრუქტურების, გავლენიანი პირების, შეიარაღებული ჯგუფების ზემოქმედების შედეგად. ბოლოს გაჩნდა სურვილი შექმნილიყო მეანაბრეთა პარტია. თავმჯდომარე დიდხანს არ უძებნიათ და ეს პოსტი იქვე შესთავაზეს ბატონ რ. გოცირიძეს, რასაც მოჰყვა ბ-ნ რომანის დელიკატური უარი. მან გაიმეორა, რომ მათ წინაშე დღეს იგი წარსდგა როგორც კეთილი რჩევის მიმცემი, მისთვის მთავარია მოტყუებულ ადამიანთა დახმარება და ამ მიზნის მიღწევა უფრო ადვილად მოხერხდება, თუ არ იქნება პოლიტიკური სპეკულაცია. მეანაბრეთა ერთი ჯგუფი დაბეჯითებით ითხოვდა, რომ გამონახულიყო რამე ფორმა, მაგალითად, რესპუბლიკურ პარტიასთან შექმნილიყო მეანაბრეთა სექცია, რადგან მათი ბედით დღემდე არც ერთი სხვა პოლიტიკური ორგანიზაცია არ დაინტერესებულა.

ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც შეგვიძლია!...

რომან გოცირიძემ მეანაბრეებს პარლამენტში რესპუბლიკელთა ფრაქციის თანადგომა აღუთქვა. მართალია, როგორც ეკონომისტი, თვით არ იწონებს მეანაბრეთა მიერ პარლამენტში წარმოდგენილ პროექტს და თვლის, რომ საჭიროა უფრო რეალური გზების მოძებნა, მაგრამ ფრაქცია ამ გადაწყვეტილებას მხარს მაინც დაუჭერს, რათა არ დაიკარგოს გაკოტრებულ კომპანიათა მეანაბრეების მიერ ზარალის ანაზღაურების სულ მცირე შანსიც.

ქაოსიდან იშვა...

სხდომის დამთავრების შემდეგ დარჩნენ მეანაბრეთა კავშირის წევრები, ცალკეულ გაკოტრებულ კომპანიათა წარმომადგენლები. აღინიშნა, რომ თვით მეანაბრეთა შორის არ არის ერთსულოვნება, განსხვავებულია ცალ-ცალკე კომპანიათა მეანაბრეების მიერ არჩეული ხელმძღვანელი პირების ინტერესები. ეს პოზიცია კი ძალიან წამგებიანია.

ბოლოს რ. გოცირიძემ განაცხადა, რომ იგი დაწვრილებით შეისწავლის არსებულ ვითარებას და შემდეგ მეანაბრეთა სათათბიროსთან ერთად შეიმუშავებს დადგენილების პროექტს, რომელიც ერთის მხრივ, მისცემს საშუალებას მეანაბრეებს აინაზღაურონ ზარალი და მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს ჯანსაღი მრეწველობის განვითარებას. რაც შეეხება კონსულტაციებს, ასეთი სახის შეხვედრები გაგრძელდება, მით უფრო, რომ ასეთი სურვილი ორმხრივია.

ლელა ჯაფარიძე

დამაფიქრებელი კითხვა

ჩვენგან განსხვავებით მეზობელი აზერბაიჯანი სულ უფრო დიდ იმედებს ამყარებს დასავლეთზე და ამასთან არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ამის გარანტად კი აზერბაიჯანის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს მიაჩნია მისი ქვეყნის დამოუკიდებელი პოლიტიკა იმ სახელმწიფოებისადმი (უპირველესად რუსეთია სავარაუდებელი), რომლებიც ცდილობენ თავის განწყობას დაუმორჩილონ დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ახალგაზრდა რესპუბლიკა.

ამ დღეებში ჰ. ალიევი აშშ-ს ელჩთან შეხვედრისას შეეხო რუსეთისა და სომხეთის სამხედრო ძალების ერთობლივ წვრთნებს, რომლებიც სულ ახლახან ჩატარდა აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის უშუალო სიახლოვეს. პრეზიდენტმა იქვე დასძინა: „მოსკოვის ტელევიზიით, რომელმაც ვრცლად გააშუქა ეს წვრთნები, გაისმა უცნაური აზრი იმის თაობაზე, რომ რუსეთმა და სომხეთმა შექმნეს სამხედრო კავშირი. გაუგებარი მხოლოდ ისაა — თუ ვის წინააღმდეგაა მიმართული იგი?“

ეს კითხვა ჩვენთვისაც ხომ არაა დამაფიქრებელი?

ლ.ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასაარჩევნო ვნებანი

არჩევნების მოახლოება საქართველოში პოლიტიკურ ძალთა „დაბალანსებული“ ურთიერთობების რღვევით აღინიშნება. გუშინდელი მტრები თუ არ „მოყვრდებიან“, ერთმანეთისკენ სავალი გზების პოვნას მაინც ცდილობენ, ხოლო ყოფილ მოკავშირეთა შორის უკვე დაუფარავი ანტაგონიზმი შეიმჩნევა. არის ლაპარაკი მსხვილი, ოპოზიციური ბლოკის ჩამოყალიბებაზე, სადაც საპარლამენტო ოპოზიციის რამოდენიმე პარტიას შეუერთდება გამსახურდიას მომხრე პარტია-დაჯგუფებათა შედარებით „ლიბერალური“ ნაწილი. ირაკლი წერეთელი აშკარად გამოხატავს თავის სიმპატიებს ჯაბა იოსელიანისა და „მაშველთა კორპუსის“ მიმართ. თავის მხრივ ჯაბა იოსელიანი „დიქტატურის საშიშროებაზე“ მიუთითებს და ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში საკმაოდ ირონიულად მოიხსენია „მწვანეები“ ანუ „მოქალაქეთა კავშირის“ პოლიტიკური ბირთვი. თვით „მოქკავშირელთა“ შორისაც არ სუფევს ერთსულოვნება, ზოგიერთი „მოქალაქე“ სხვა გავლენიან დაჯგუფებებთან ალიანსს მოითხოვს, სხვები ჯერ კიდევ ყოყმანობენ. ასევე გაურკვეველია ასლან აბაშიძის პოლიტიკური პირმშოს — „სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის“ პოზიცია. ბრიტანეთიდან თბილისში ჩამოვიდა ცნობილი ბიზნესმენი დავით ზოდელავა, და კვლავ წარმოგვიდგა, როგორც პროგრესულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, რაც უდავოდ მის პოლიტიკურ პრეტენზიებზეც მეტყველებს... ერთადერთი ეროვნულ-დემოკრატები არიან ჯერჯერობით „მარტოდ ზთენილნი“, თუმცა „მანევრირების“ პროცესი გრძელდება. ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს, „კასტები აირიოს“ და საბოლოო ჯამში წინასაარჩევნო ძალთა განლაგება სულ სხვა პოზიციებით დაფიქსირდეს. მითუმეტეს, რომ კაციშვილმა არ იცის, კონკრეტულად როდის და რა სისტემით ჩატარდება არჩევნები. სახელმწიფოს მეთაურმა რამდენჯერმე განაცხადა, და შემდგომში მისმა გენერალურმა მდივანმა, ზურაბ ჟვანიამაც დაადასტურა, რომ შემოდგომამდე აუცილებლად იქნება მიღებული კონსტიტუცია



და არჩევნებიც კონსტიტუციის შესაბამისად ჩატარდება. გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას ასეთ მოკლე ვადაში კონსტიტუციის დამტკიცება კანონის უხეში დარღვევის გარეშე შეუძლებლად მიაჩნია და ე.წ. „მცირე კონსტიტუციის“, ანუ რამდენიმე ძირითადი (მათ შორის საარჩევნო) კანონის მიღებას მოითხოვს. მათ ეთანხმებიან ეროვნულ-დემოკრატებიც. ზოგიერთი დეპუტატი საპარლამენტო უმრავლესობიდან თვლის, რომ სანამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება და კრიმინოგენული ვითარება არ მოწესრიგდება — არჩევნების ჩატარება დაუშვებელია. ერთი შეხედვით ეს ეწინააღმდეგება შევარდნაძის პოზიციას, მაგრამ ბევრი ოპოზიციონერი ეჭვიანობს, რომ სახელმწიფოს მეთაურს უბრალოდ დრო გაჰყავს. სინამდვილეში კი სულაც არ აპირებს არჩევნების დროულად ჩატარებას. ყოველ შემთხვევაში — პრეზიდენტის არჩევნებამდე მაინც. სხვათა შორის, არჩევნების გადადების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე მოწინააღმდეგეა ჯაბა იოსელიანი, რომელმაც ორი მაისის პლენარულ სხდომაზე განაცხადა: თუ დროზე არ მივიღეთ საარჩევნო კანონი, ნოემბრიდან ეს პარლამენტი თავის უფლებამოსილებას ამოწურავს, გახდება არალეგიტიმური, მოკლედ „საქმე იქნება მორევაზე“ და ვინ ვის მოერევა, იმასაც ვნახავთო!...

ძნელი სათქმელია, როგორ დასრულდება წინასაარჩევნო ვნებანი, ვინ ვის „შეეკვრება“ და ვინ ვის გაემიჯნება. პოლიტიკურ ძალთა ამგვარი „მანევრები“ არჩევნების წინ თავისთავად ნორმალური მოვლენაა. მსგავსი რამ ყველა ქვეყანაში ხდება და ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს პოლიტიკოსებს „მარტო სკამი უნდათ“. ხელისუფლებისთვის ბრძოლა — პოლიტიკის განუხრელი ატრიბუტია, ხოლო ის პოლიტიკოსი, ვისაც პრინციპულად არ სურს ხელისუფლებაში მოსვლა — სერიოზულ პოლიტიკოსად არც ჩაითვლება. სხვა საკითხია რამდენადაა გაპირობებული ჩვენთან „მოკავშირეთა“ ძიება პოლიტიკური დოქტრინების, მსოფლმხედველობრივი პოზიციების სიახლოვით და რამდენად პოლიტიკური ელდის ზედაპირზე „ტივტივის“ სურვილით. — ეს ცალკე საკითხია, ამ თემაზე მსჯელობას ჯერჯერობით არ ვაპირებთ. ოღონდ ერთს კი ვიტყვი: მთავარია ყველაფერი მშვიდობიანად წარიმართოს და ღმერთმა ნუ ქნას, მართლა მორევაზე მივიდეს საქმე. თორემ ეს პარლამენტი შეიძლება სულაც სანატრელი გაგვიხდეს...

დ.ზ.

კიდევ ერთი ამნისტია

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ შეიმუშავა ამნისტიის პროექტი,რომლის მიხედვითაც 26 მაისს ციხიდან უნდა განთავისუფლდეს ყველა პატიმარი, ვისაც რაიმე მძიმე დანაშაული არა აქვს ჩადენილი. პარლამენტის მიერ შესაბამისი დადგენილების მიღებას თითქოს წინ არაფერი ედგა, რადგან პროექტს დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, მაგრამ სხდომაზე მოსულმა იუსტიციის მინისტრმა, ბ-ნმა თედო ნინიძემ ერთსულოვან პარლამენტართა შორის ზედ კენჭისყრის წინ ჩაგდო „განხეთქილების ვაშლი“: როგორ შეიძლება ერთი თვით წინასწარ ამნისტიის ხმამაღლა გამოცხადება. ეს საიდუმლოდ უნდა მზადდებოდეს, თორემ უამრავი ადამიანი ჩაიდენს დანაშაულს — აქაოდა მაინც მალე გამომიშვებენო. ატყდა კამათი. ზოგმა გაიზიარა მინისტრის არგუმენტები, ზოგმა არა. ირაკლი წერეთელმა პოლიტიკაში სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტს „კომუნისტური გადმონაშთი“ (!) უწოდა და განაცხადა: უპირველეს ყოვლისა ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერესებიდან უნდა ამოვიდეთ, საპატიმროებში საშინელი მდგომარეობაა, იქ კაცი დაინვალიდდება. ამ ხელისუფლებამ ან კეთილი ინებოს და ჯანმრთელობისთვის ასატანი პირობები შეუქმნას პატიმრებს, ან არადა საერთოდ ნურავის (!) ნუ დაიჭერსო... კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, გელა ნიკოლაიშვილმა რუსეთის მაგალითი მოიშველია.: იქაც მიიღეს ანალოგიური გადაწყვეტილება, თანაც პროექტში დაკონკრეტებული არ არის ამნისტია კოდექსის რომელ მუხლებს შეეხება და ბოროტმოქმედს ამნისტიის პროექტი „დამხმარე სახელმძღვანელოდ“ ვერ გამოადგებაო. იუსტიციის მინისტრმა მაინც არ დაიხია უკან და მტკიცედ მოითხოვა კომისიას კიდევ ერთხელ ემსჯელა ამ საკითხზე პროფესიონალ იურისტებთან ერთად. საბოლოოდ ასეც გადაწყდა. ამნისტია გადაიდო, თუმცა, ალბათ, არც ისე დიდი ხნით.

ძალად პარლამენტარი

საქართველოს პარლამენტიდან თავისი ნებით იშვიათად თუ მიდის ვინმე. ახლა კი, როგორც ჩანს, წასვლა რომც მოგინდეს, შეიძლება აღარც გაგიშვან. ზუსტად ასეთი კაზუსი მოხდა ორი მაისის პლენარულ სხდომაზე. პარლამენტარ თამაზ ობგაძეს, მერაბ კოსტავას საზოგადოებიდან, თურმე დაუწერია განცხადება და სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტა მოუთხოვია სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით, მაგრამ განცხადებას კენჭი არ ეყარა. როგორც სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ, რომან მიმინოშვილმა განმარტა, დანამდვილებით არ არის ცნობილი მართლა მიდის თუ არა ობგაძე სხვაგან სამუშაოდ, ამიტომ კომისიის წევრთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ შესაძლოა დეპუტატის განცხადება „პარტიული ზეწოლის“ შედეგი იყოსო. ბ-ნ რომანს შეეკამათა „რესპუბლიკელი“ გურამ ბერიშვილი: მეც ვესწრებოდი კომისიის სხდომას, ოღონდ საქმე მთლად მასე არ ყოფილაო. მართალია, ჩვენ ვერ გავარკვიეთ, რატომ მოინდომა დეპუტატმა პარლამენტიდან წასვლა, მაგრამ თუკი სრულწლოვანმა კაცმა თავისი ხელით დაწერა განცხადება, ვერ გამიგია ძალით რატომ ვაკავებთო... ხანმოკლე შეხლა-შემოხლის შემდეგ სპიკერის წინადადებით „დაბალანსებული“ გადაწყვეტილება იქნა მიღებული: საკითხი გაირკვეს მაშინ, როცა თავად განცხადების ავტორი დაესწრება სხდომას. ასე რომ, მიუხედავად წერილობითი განცხადებისა, თამაზ ობგაძე, უნდა თუ არ უნდა, ჯერჯერობით კვლავ დეპუტატად რჩება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ციკლიდან ხელისუფლებათა იერარქია. მეოთხე ხელისუფლება

ქართული ჟურნალისტიკის მახინჯი მხარე

ნოდარ გრიგალაშვილი

ამ წერილში ჩვენი საინფორმაციო საშუალებების ნაკლზე მექნება საუბარი, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ჟურნალისტიკა მხოლოდ ნეგატიურ პლანში წარმოდგენის უფლებას გვიტოვებს.

მარტო ის რად ღირს, რომ ამ მისავათებულ ქვეყანაში, სადაც წარმოებები დადუმებულია, ერთადერთი, ვგონებ, გუტენბერგის გამოგონება ხმაურობს და ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმე ფეთქავს.

მარტო ის რად ღირს, რომ როცა განგაშის ზარებია ჩამოსარეკი და ხელისუფლების პირველი, მეორე თუ მესამე ფრთა შიშით გატრუნულია, მეოთხე ხელისუფლების ახალგაზრდა, ყველასაგან მიტოვებული და დაუცველი ახალგაზრდები, წარმოუდგენელ რისკზე მიდიან, ფათერაკს არ უშინდებიან და ბედავენ იმის თქმას, რასაც შეიძლება ფიზიკური ანგარიშსწორებაც მოჰყვეს...

ქართულ ჟურნალისტიკაში არც ნიჭიერებაა სანთლით საძებარი. მაგრამ, როგორც ვთქვი, მედლის იმ მეორე მხარეზე მინდა ვისაუბრო, რომელსაც სიმახინჯედ მივიჩნევ.

„ავს თუ ავი არ დავარქვი, კარგს სახელად რა ვუწოდო“ — ღირს ამ სიტყვების ხშირად გახსენება, რადგან სიმახინჯე, რომელსაც ჟურნალისტი ნერგავს, შეგნებულად თუ შეუგნებლად, კალმით თუ სიტყვით, ათასგზის საზიანოა საზოგადოებისთვის, ვინაიდან, კალმით დაწერილს ნაჯახით ვეღარ ამოშლი, ხოლო ეთერში ნათქვამ სიტყვას სირბილით ვეღარ დაეწევი... აქედან გამომდინარე, კალმისა და სიტყვის მსახურს სხვაზე მეტად მართებს სახელმწიფოებრივი აზროვნება.

სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტი ჟურნალისტისათვის შეცდომად კი არა, — დანაშაულად მეღავნდება. არადა, ჩვენ ვაკრიტიკებთ ყველას და ყველაფერს სახელმწიფოს მეთაურით დაწყებული, შარაგზის ყაჩაღით დამთავრებული, მაგრამ კრინტს არ ვძრავთ იმაზე, რაც ჩვენი ნაკლია, რითაც ხშირად დიდი საქმის წინაშე ვცოდავთ.

ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ მეოთხე ხელისუფლებასთან ჩხუბი და დავიდარაბა, პირველს, მეორეს და მესამეს, საკმაოდ კორუმპირებულებს, ხელს არ აძლევთ. „გაზეთჩიკი“ მათთვის ინტრიგანია, რომელიც უნდა აქო და ერიდო...

თვით ჟურნალისტები კი ჟურნალისტების ნაკლს „ვერ ხედავენ“, იშვიათად თუ წაკინკლავდებიან ერთმანეთთან, ისიც პირადი შეხების გამო. საზოგადო საკითხებთან დაკავშირებული პოლემიკა კი სხვადასხვა გამოცემებს შორის იშვიათ ხილად იქცა, აქაოდა, „დაუწერელი კანონი“ არ დავარღვიოთ, კოლეგები არ გავანაწყენოთო. აი, ამ და სხვა მიზეზების გამოც ფაქტიურად ჟურნალისტიკა შეუვალ ნაკრძალად იქცა.

ის მ[illegible]ულებელი ტენდენციები, რომელთა დაფიქსირებასაც აქ ვაპირებ, არ არის მხოლოდ ერთი გაზეთის, ან მხოლოდ ტელევიზიის, ან მხოლოდ რადიოსათვის თუ სხვადასხვა სააგენტოებისათვის დამახასიათებელი, იგი უფრო საყოველთაოა და მიუხედავად იმისა,რომ ზოგი მეტად ვცოდავთ, ზოგიც ნაკლებად, კონკრეტული ადრესატების გამოყოფას არ შევეცდები. ამ წერილის მიზანი არ გახლავთ ვინმე ვამხილო, მიზანი საერთო ტენდენციის დანახვა და ამ ტენდენციის მხილებაა. ვინძლო ვიღაცამ ყურად იღოს.

დავიწყებ შედარებით უმტკივნეულო სიმახინჯზე საუბრით, ანუ ისეთი საკითხით, რომელიც ქვეყანას არ აქცევს, ზიანს არავის აყენებს, მაგრამ აზროვნების პროვინციალიზმის კარგა მძაღე სუნი კი ასდის.

საღლეგრძელო და საინფორმაციო საშუალებები

ამ ქვესათაურმა გრიგოლ ორბელიანის ცნობილი პოემა გამახსენა — „საღლეგრძელო, ანუ ღამე ლხინი ერევნის სიახლოვეს, ირაკლის ტაფაზედ“. პოემაში, როგორც ვიცით, ტოლუმბაში, იგივე მისტიფიცირებული ავტორი, წარმოთქვამს წარსულის გმირთა საღლეგრძელოებს, ახლა ვივარაუდოთ, მთელი პოემის კომპოზიცია რომ ასე იყოს წარმოდგენილი: მხედრები დგებიან და სათითაოდ ამბობენ ავტორის საღლეგრძელოს... არის გაზეთები, რომლებშიც სწორედ მკითხველთა აღფრთოვანებული საღლეგრძელოები იბეჭდება აღვლენილი რედაქტორის მისამართით.

ქართულ სუფრაზე რომ გადაჭარბებული ქება ისმის თამადისა თუ რომელიმე არიფისაგან (თანამეინახისაგან) ამა თუ იმ წევრის მიმართ, თუ ის კაცი შერეკილი ან პატივმოყვარეობით დაავადებული არ არის, ადგილს ვერ პოულობს და ერთი სული აქვს, როდის ჩამოტარდება მისი საღლეგრძელო. ილიას თქმისა არ იყოს, თავმოყვარე კაცისათვის გადაჭარბებული ქება გადაჭარბებულ ლანძღვაზედაც უარესია.

და თუ ეს ასეა, რა ჰქვია იმ გაზეთების მესვეურებს, საკუთარ გამოცემებში რომ დასტამბავენ ასეთ „მარგალიტებს“ (გთავაზობთ ციტატებს შემოკლებით):

„ბატონო №, თქვენ და თქვენი გაზეთი ჩემი სულის მკურნალები ხართ. მე ვერ წარმომიდგენია ცხოვრება თქვენი გაზეთის გარეშე. თქვენ რომ არა, უკუნი დაეუფლებოდა ქვეყანას“...

„მადლობას ვწირავ მამაზეციერს თქვენი ამ ქვეყნად მოვლინებისათვის“...

„ბატონო ყ, თქვენა ხართ სიმართლის დროშა, თქვენა ხართ ამოღებული ხანჯალი, თქვენ ვერაფერს დაგაკლებთ გველების სისინი...“

„როცა ჩემი საყვარელი გაზეთი გამოდის, ის დღე უბედნიერესია ჩემს ცხოვრებაში“.

ასეთი ამონარიდების გაგრძელება, სამწუხაროდ, ვრცლად შეიძლება. მკითხველი ზოგჯერ გულწრფელად იწერება ასეთ უსტარს, გულწრფელად სურს გაამხნევოს მისთვის საყვარელი რედაქტორი, ზოგჯერ კი ცოტას ეშმაკობს, ზურიკელა ვაშალომიძის „ნათხოვარი“ წერილივით, ოღლა ბებიას რომ ჩაუვარდა ხელში, პირდაპირ ტუჩ-კბილის სილამაზესაც შეგიქებს, ოღონდ მისი ნაცოდვილარი ლექსი დაუბეჭდო, უსტარს რომ თან ახლავს.

ერთი სიტყვით, სარედაქციო ფოსტა მრავალფეროვანია, მაგრამ მაგიდას უჯრა იმიტომაც აქვს, წერილობითი „სადღეგრძელოები“ იქ რომ მოთავსდეს და არა გაზეთში, მთელი რესპუბლიკის წასაკითხად.

ამასთან დაკავშირებით ერთ ანეკდოტურ სიუჟეტს შემოგთავაზებთ: „ცნობილი ამერიკელი დიპლომატი ფრანკლინი საფრანგეთში ელჩად ყოფნის დროს, ერთმა ლიტერატურულმა საზოგადოებამ მიიწვია. ფრანკლინმა ფრანგული ენა კარგად არ იცოდა და გადაწყვიტა ტაში დაეკრა მაშინ, როცა სხვებიც დაუკრავდნენ. სხდომის შემდეგ შვილიშვილმა, რომელიც სხდომაზე ახლდა, ჰკითხა ფრანკლინს:

— რა მოგვივიდა ბაბუა, ყველაზე მეტად უკრავდი ტაშს, როდესაც შენ გაქებდნენ“.

ეს კომიკური ფაქტი, სამართლიანად შეიტანეს ანეკდოტებისა და თავშესაქცევი ამბების წიგნში. რით არის ამაზე ნაკლებად თავშესაქცევი ის ამბავი,რომ ზემოთწარმოდგენილ დითირამბებს რედაქტორი საკუთარ გაზეთში დასტამბავს, საკუთარი ხელმოწერით დაადასტურებს — ერთი შემომხედეთ როგორი ჯეელი ვარო.

„ასე მგონია ხოლმე, გული გავიუპატიურე, როცა წმინდანად გულში შენახული გრძნობა პირით გამოითქმის.

იგი გრძნობაა მართალი, რომელიც კატასავით დღე მუდამ არა სჩხავის და მზეთუნახავად დაბინავებულა გულში“ — ამ სიტყვებს „ივერიის“ რედაქტორი ილია ჭავჭავაძე წერდა.

„სიყვარულსა მალვა უნდა,
ვითა ცხენსა ნაპარავსა —
ამ სიტყვებს შოთა რუსთაველი.

“ვინც ეს თქვა
ხომ არ გადაამეტა,
ნათქვამს ხომ არ აქვს
ნაწყენის კილო,
მაშ სიყვარულში
რა ნახა ნეტავ,
ან გასაიცხი,
ან სათაკილო“

ეს სიტყვები კი თანამედროვე პოეტს ეკუთვნის.

ვგონებ, ის ტენდენცია სჯობდა ამ ტენდენციას, როგორც „ივერიის“ რედაქტორი ამ რედაქტორებს...

აშიკობა საკუთარ თავთან

ის რაც ზემოთ ითქვა, უკბილო ხუმრობა გამოჩნდება იმ სიუჟეტთან შედარებით, ახლა რომ დაგისურათხატებთ.

კაცი რომ თავისი დიდბუნოვანებისა და რაინდობის შესახებ მკითხველის გამოგზავნილ წერილს ბეჭდავს, კიდევ შეიძლება რაღაც ახსნაც მოეძებნოს.

ვთქვათ, ვიღაცეები ჩაგრავენ, ან გაზეთის აკრძალვით ემუქრებიან და საკუთარ მკითხველს მშველელად თუ ძალის მიმცემად მიიჩნევს, მაგრამ რა ვუყოთ იმ „თეთრი ძაფით“ ნაკერ წერილებს, რედაქტორს რომ ვითომ ავტორები სწერენ და სინამდვილეში თვით რედაქტორის შემოქმედებითი „წვის“ შედეგია?

აბა წარმოიდგინეთ, როგორი სანახავია — ზის საწერ მაგიდასთან მოწიფული კაცი, მოუმარჯვებია საწერ-კალამი, მჭმუნვარე და შემოქმედის ტანჯული სახით წერს, არც მეტი არც ნაკლები, საკუთარ თავს წერილს.

მაგალითად ასეთს:

„ბატონო №, წავიკითხე თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული თქვენივე ბრწყინვალე წერილი სათაურით...

მინდა გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ „ეროვნულ-დამანგრეველი“ მოძრაობის ვაილიდერის პირუთვნელი და სამართლიანი კრიტიკისათვის. სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს. მე არ ვიცი გყავთ თუ არა შეკაზმული ცხენი, მაგრამ მრავალათასიანი მკითხველის სახელით მიგულვეთ თქვენს გვერდით თქვენს ვაჟკაცურ ბრძოლაში, იკურთხოს თქვენი მართალი კალამი“ და ა.შ. და ა.შ.

როცა მკითხველის სახელით საკუთარი თავისადმი მიძღვნილი დითირამბის წერას მორჩება, მგზნებარე შემოქმედი უკვე საკუთარი სახელით იწყებს სარედაქციო მინაწერის, მადლობის სიტყვების წერას და თავის „მრავალათასიან თანამდგომ მკითხველებს“ ჰპირდება, რომ მომავალშიც ბრდღვინს ადენს ყველას და ყველაფერს.

ეს სიუჟეტი არ გახლავთ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი. ნებისმიერ ჭეშმარიტ ლიტერატორს ადვილად შეუძლია ამოიცნოს ზოგიერთი რედაქტორის სტილი იმ წერილებში, რომელთაც მათ ვითომდა მკითხველები სწერენ, სინამდვილეში კი თავად აშიკობენ საკუთარ თავთან. ამასთან დაკავშირებით, მახსენდება მიხეილ ზოშჩენკოს ცხოვრებიდან ერთი კურიოზული ფაქტი.

მწერალი ყირიმში მიემგზავრებოდა დასასვენებლად. გზად ერთი მშვენიერი ქალბატონი მოსწონებია და გაუცვნია. მათ წინასწარ არ იცოდნენ, რა მისამართზე დაბინავდებოდნენ ყირიმში. ამიტომ შეთანხმებულან, ქალი ზოშჩენკოს მთავარ ფოსტაში გამოუგზავნიდა წერილს — „მოკითხვამდე“ და შეატყობინებდა თავის ადგილ-სამყოფელს.

ერთხელ მივიდა მწერალი ფოსტაში. უთხრეს, თქვენს სახელზე არაფერი მოსულაო, მეორედ მიაკითხა. ფოსტის მომსახურე ქალიშვილმა ღიმილით კვლავ უარი მოახსენა.

მესამედ, მეოთხედ იგივე გაგონმეორდა.

მოსწყინდა მწერალს წინ და უკან წანწალი, თან იმ ქალიშვილის შემრცხვა, ხელნაკრავი შეყვარებულის როლით რომ ვაკითხავდიო, — წერს იგი, — და „შელახული სიამაყის“ აღსადგენად დამჯდარა, საკუთარი თავისთვის მიუწერია წერილი. გაუგზავნია ფოსტაში — „მ. ზოშჩენკოს, მოკითხვამდე“.

ფოსტაში მისვლისას ქალიშვილმა გახარებულმა აუწყა, — თქვენს სახელზე წერილიაო...

ამ შემთხვევის შემდეგ წლები გავიდა. მწერალი იმ ქალს პეტერბურგში შეხვედრია. საყვედურზე, რატომ არ გამომიგზავნე წერილი და არ მაცნობეთ მისამართიო, მანდილოსანს ასეთი პასუხი გაუცია:

— იცით რა, ამის გაკეთებას ვაპირებდი, მაგრამ ქმარმა, რომელიც სუკში მუშაობს,ერთხელ მითხრა — აქ ისვენებს მწერალი ზოშჩენკო, რომელიც გაგიჟდა, საკუთარ თავს წერილებს წერსო...

როგორი გიჟიც ზოშჩენკო იყო, მისმა მკითხველმა კარგად იცის, გიჟი არც საკუთარი თავის აშიყი რედაქტორია,იგი გიჟი კი არა ვირეშმაკაა. ვირეშმაკობა კი ქართული პრესის სამწუხარო ტენდენცია და ამოსაშანთი სიმახინჯეა.

პრესა. ტელევიზია და სახელმწიფო საიდუმლოება

საქართველო უცხო ქვეყნის აგენტურის სიმციერეს ალბათ არ განიცდის. ეს აგენტურა, ცხადია, საზოგადოებრივ საწყისებზე არ იქნება ფათერაკიან საქმეში ჩაბმული, მათ ალბათ მსუყედ უხდიან. თუმც საკვირველი კია, რისთვის არის ჩვენთან აგენტურა საჭირო და რატომ იხარჯება ჩვენი მოწინააღმდეგე, როცა პირველხარისხოვან ინფორმაციებს პირდაპირ პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ვაწვდით.

ამაში დიდი წვლილი, მართალია, იმას მიუძღვის, ვინც პირველი ხელია ინფორმაციის გაცემის დროს, ანუ ხელისუფლებას თავისი აპარატით, სამინისტროებითა და უწყებებით, მაგრამ, ამჯერად საინფორმაციო საშუალებათა პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობ. ყველას თავისი მოეკითხება. ყველა თავის ადგილზეა ვალდებული და პასუხისმგებელი იმაზე, რომ მიხვდეს, რა არის სახელმწიფო ინტერესის საზიანო და რა სასიკეთო.

1992 წლის მარტში, როდესაც ბატონი ე. შევარდნაძე შეუდგა საქართველოში ახალ ამბლუაში მოღვაწეობას, რედაქტორებთან შეხვედრა მოაწყო. იმ შეხვედრას თქვენი მონა-მორჩილიც ესწრებოდა და ასეთი რამ განვაცხადე — ხელისუფლება არ უნდა ჩაერიოს პრესის საქმიანობაში. მაგრამ სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზნებთან დაკავშირებით სასურველია ზოგადად ჩვენ საქმის ყურში ვიყოთ. ხელისუფლებამ დრო და დრო სასურველია რეკომენდაცია მისცეს სა-

ინფორმაციო საშუალებათა ხელმძღვანელებს იმ საკითხებში, რაშიც ჩვენ განსხვავებით შიდა პრობლემებისაგან ყველანი ერთიანი უნდა ვიყოთ-მეთქი (იმჟამად ლაპარაკი იყო დამოუკიდებელი საქართველოს შენებაზე და არა ესენგესა და მისთანებზე). ზოგიერთმა კოლეგამ, ჩემი ეს გამოსვლა კულისებში ცენზურის დაწესების მოთხოვნად მიიჩნია. სხვათაშორის ასეთ დემაგოგიაზე ყოველთვის ყოფილი ცენზორები მიდიან...

ცენზურის დაწესებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩემი თხოვნა რომ ვინმეს ყურად ეღო, შეიძლებოდა ცოტაოდენს პრესა და ტელევიზიაც დახმარებოდა თავის ქვეყანას.

ის, რაც საქართველოს საინფორმაციო საშუალებებში ხდებოდა ომის დროს, უკეთესს მტერიც კი ვერ ინატრებდა ჩვენთვის.

იქ ბიჭებს ტყვიები და გრადები აწვიმდა.

აქ ერთი გაზეთი წერდა: საქართველოს ერთიანობისათვის სამამულო ომში ვართ ჩაბმულიო!

მეორე გაზეთი ქილიკობდა — უაზრო ომიაო!

მესამე მოსთქვამდა — აფხაზების გენოციდი ხდებაო!

არ ვიცი ამით დემოკრატიამ რა მოიგო. ვიცი, რომ საქართველომ წააგო!

ერთი გაზეთი წერდა: მტერს ვებრძვითო!

მეორე — აფხაზები ჩვენი ძმები არიანო!

ერთ არხზე — ჰკა მაგასაო, იძახდნენ!

მეორეზე — ძმაო, ძმითა ხარ ძლიერიო!

ჩვენს ბიჭებს კი იქ „ძმურად“ კლავდნენ, მიწაც „ძმურად“ წაგვართვეს და ბოლოს, — „ძმურად“ აითესეთ აქედანო...

ჟურნალისტი მტრის მზვერავის როლში

არაერთხელ განუცხადებიათ აფხაზეთის ომის დროს ჩვენს სამხედრო პირებს, რომ ტელევიზით მტერს ფასდაუდებელ ინფორმაციებს აწვდით ჩვენი ჯარების განლაგების შესახებო. ასეთი მაგალითები მართლაც უამრავი იყო, მახსენდება ერთი ტიპიური სიუჟეტი.

თოვლით დაფარულ მაღალ მწვერვალზე ვერტმფრენი დაფრინდა, გადმოვიდა ვერტმფრენიდან ჟურნალისტი და პროპელერის ზუზუნში მიკროფონში ხმამაღალი ჩაძახებით გვამცნო: ჩვენ ახლა ვიმყოფებით ავადხარას უღელტეხილზე, აქ დგას 10 კარგად შეიარაღებული ქართველი ვაჟკაცი, რომლებიც ჩეჩნებს უღელტეხილზე გადმოსვლის საშუალებას არ მისცემენო — დაასრულა გახარებული სახით ტელერეპორტაჟი ჟურნალისტმა.

აფხაზებს რომ ეს ინფორმაცია მიეღოთ, წარმოიდგინეთ რა ძალისხმევა დასჭირდებოდათ. ციცაბო ბილიკებზე მზვერავების გაშვება, ქართველ მებრძოლთა ზუსტი რიცხვის დადგენა და ა.შ. შესაძლოა ამ დასაზვერ სამუშაოებს მტრის მზვერავნი შესწიროდნენ კიდეც, ყველაფერ ამის წილ კი სრულიად უბრალოდ, სრულიად უფასოდ მიიღეს ტელეკრანიდან ძვირფასი ინფორმაცია.

ვიმეორებ, ამ ტიპის გადაცემები არ იყო გამონაკლისი. მარტო ის რად ღირს, რომ „მაცნეს“ საშუალებით თითქმის ყოველდღე გადაიცემოდა რამდენი მებრძოლი წავიდა ომში ამა თუ იმ რაიონიდან, რამდენი კილოგრამი შაქარი, კარაქი, პური თუ სხვა პროდუქტები გაგზავნა მებრძოლთა დასახმარებლად ამა თუ იმ გამგებელმა, რამდენი ტონა საწვავი ჩაიტანეს და ა.შ.

ყოველივე ეს გამგებელთა მუშაობის, მათი პატრიოტული საქმიანობის დემონსტრირებისთვის გადაიცემოდა, იმაზე კი არავინ ფიქრობდა, რომ ამ ინფორმაციებს მტერიც ღებულობდა. მან ამ ინფორმაციათა შედეგად იცოდა ზუსტი ციფრი იმისა, თუ რამდენი მებრძოლი შეემატა სოხუმს დამხმარე ძალის სახით.

ყოველივე ეს მაინც წარსულში იყო. ის რაც ახლახან მოხდა სახელმწიფო საიდუმლოს „დაცვის“ თვალსაზრისით, პირდაპირ კურიოზული სიუჟეტების ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ...

...

ქურდებო, ყაჩაღებო, მკვლელებო, პოლიცია მოდის, დაიმალეთ!..

ერთი წინადადებით ასე შეიძლება შეფასდეს გასულ პარასკევს პროგრამა „ალიონიდან“ გადაცემული ინფორმაცია.

დილაბნელზე, ტელეეკრანის აციმციმებისთანავე წამყვანმა აცნობა მთელს საქართველოს: დღეს თბილისში შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს და უშიშროების კომიტეტის შეიარაღებული ძალები აწყობენ ერთობლივ რეიდსო.

ამ ინფორმაციის გადაცემის მიზანშეწონილობაში ეტყობა მცირე ეჭვი წამყვანმაც შეიტანა და ამიტომ, ალბათ, თავისმართლების მიზნით დასძინა — ამას იმიტომ გაცნობებთ, რომ ვისაც გეჩქარებათ მგზავრობა, ცოტა ადრე გადით შინიდან, რამდენიმე ადგილზე გაჩერება და გაჩხრეკვა მოგიწევთო.

ცხადია, შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, უშიშროების კომიტეტი თავიანთი შეიარაღებული ძალებით იმისთვის არ გამოვიდნენ დილაადრიან ქუჩაში, რომ მძღოლებისთვის მხოლოდ ტექნიკური დათვალიერების წიგნაკები ემოწმებინათ ან იმისთვის ეთვალთვალათ, ვინ განავითარა დიდი სიჩქარე და ვინ შუქნიშანზე უდროო დროს გადაირბინა.

ასეთი დიდი რეიდები როგორც წესი დამნაშავეთა სამყაროს გამოსავლენად, შეიარაღებულ პირთა გასაჩხრეკად და დასაკავებლად ტარდება. მართვის მოწმობების შემოწმებას, ცხადია, ქუჩაში ტანკების გამოყვანა არ სჭირდება.

ახლა წარმოიდგინეთ „ალიონში“ გადაცემული ინფორმაციის შემდეგ რა მადლიერებით აღივსებოდა ყველა ქურდი და შეიარაღებული ყაჩაღი.

რომელი ჭკუათმყოფელი გამოვიდოდა იმ დილით მოპარული მანქანით, უკანონო იარაღით და ა.შ.?

იდგა ხელმოცარული პოლიცია ქუჩაში და ამაოდ ელოდა დილაადრიან გაფრთხილებულ მსხვერპლს...

აღნიშნული ინფორმაცია, მართალია შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრს ეკუთვნოდა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ვისი მეთხებით წახდება საქმე, სამინისტროს პრესცენტრში მოსამსახურე უჭკუო ჟურნალისტის თუ ტელემუშაკის ჩინოვნიკური მორჩილების გამო. (რაკი ზევიდან მიიღო ინფორმაცია, უნდა გადასცეს).

ეს ის ფაქტებია, რომელთა დანახვა ყველას ძალუძს, სპეციალისტსაც და არასპეციალისტსაც. ეს ის მახინჯი ტენდენციებია, რომელთა აღმოფხვრა პრინციპში სრულიად ადვილი შესაძლებელია.

ცოტა უფრო ძნელია იმ სიმახინჯეთა დაძლევა, რომელიც არც მხოლოდ ქართული ჟურნალისტიკის და არც მხოლოდ ჩვენი დროისათვის არის დამახასიათებელი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გიგა თუთბერიძის წიგნი

გამოვიდა უდროოდ დაღუპული მწერლის გიგა თუთბერიძის მოთხრობების კრებული. ნოტაცია გვამცნობს:

გიგა თუთბერიძე თანამედროვე ქართული პროზის ერთ-ერთი საინტერესო, თვითმყოფადი წარმომადგენელია. მან ხანმოკლე შემოქმედებითი ცხოვრების გზა განვლო. ომის დაწყების პირველივე დღიდან აფხაზეთში იბრძოდა, მძიმედ დაიჭრა ეშერაში.1994 წლის დამდეგს ტრაგიკულად დაიღუპა 29 წლის ასაკში.

გიგა თუთბერიძის მოთხრობებმა გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო მკითხველის ყურადღება, ლიტერატურული კრიტიკის ფართო აღიარება დაიმსახურა. წინამდებარე კრებული მისი პირველი წიგნია, რომელშიც შესულია ავტორის თითქმის ყველა გამოქვეყნებული ნაწარმოები.

მეტის დაწერა ბედმა მას აღარ დააცალა...

წიგნს ახლავს კრიტიკოს ივანე ამირხანაშვილის წინასიტყვაობა. მისი შეძენა შეგიძლიათ გამომცემლობა „მერანის“ საფირმო მაღაზიაში.



შაშიაშვილმა თქვაო, წისქვილმა კი თავისი ფქვაო...

(ვარიაციები სილიკო-მანგანუმის თემაზე ანუ მოჯადოებული წრე ზესტაფონის გარშემო)

წლების განმავლობაში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნიდან როგორც ნარჩენები, ისე გაჰქონდათ დიდი რაოდენობით სილიკომანგანუმის შემცველი მასა და მდ. ყვირილის სანაპიროზე ყრიდნენ. მახსოვს როგორ იდგა ამ ადგილებში შავი მთები. შემდეგ ვილაცამ მიწასთან გაასწორა ისინი. ფეროშენადნობთა ქარხნის ახლანდელი დირექტორის აზრით, ეს სულაც არ იყო გადაყრილი ქონება, არამედ სიმდიდრე, რომელიც სამომავლოდ იყო განკუთვნილი. ასეთ სიმდიდრეს კი ნებისმიერ ქვეყანაში მიწაში ინახავენო. რამდენად იყო ასე უაზროდ დაყრილი მასა სამომავლოდ შენახული ქონება, ცოტა გაურკვეველია. მისი „მოპოვება“ და რეალიზაცია რომ კერძო პირების ხელში აღმოჩნდა, ამას როგორც ჩანს დიდად არ შეუშფოთებია სახელმწიფო სტრუქტურები, თორემ თითქმის წელიწადზე მეტია მიმდინარეობს იმ ქონების დატაცება, რომლითაც (ქვეყანას რომ მოხმარებოდა) სულ ცოტათი მაინც გაუმჯობესდებოდა ჩვენი უბადრუკი ცხოვრება, მაგრამ, მას თითქმის არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია მთავრობის მხრიდან. ის კი არა და ლიცენზიებიც კი იცემოდა თურმე, რომელიც ნებას რთავდა კონცერნ „ზესტაფონის“ გარდა რამდენიმე სხვა კერძო სტრუქტურას, გაეტანა სილიკომანგანუმი საქართველოს ფარგლებს გარეთ. რომ გაეტანათ, საჭირო იყო მოგროვება და გაჩაღდა კიდეც მუშაობა მთელი რაიონის მასშტაბით. აგროვებდნენ ყველგან, სადაც კი როდესმე დაეყარათ ფეროშენადნობთა ნარჩენები, სოფლად და ქალაქში, აგროვებდა ყველა, ბავშვებიდან დაწყებული მოხუცებამდე, ყოველგვარი უსაფრთხოების წესების დაცვის გარეშე. განსაკუთრებით ინტენსიური მუშაობა ე.წ. მთავარ კარიერზე მიმდინარეობდა, რომელიც ზესტაფონის ტერიტორიაზე მდებარეობს. ეს ინტენსივობა ამჟამად გაჩერებულ ბევრ ჩვენს წარმოება-დაწესებულებას შეშურდება. დღისით, მზისით, მთელი ქვეყნის თვალწინ ხდებოდა ეს და ყოველგვარი რეაგირების გარეშე რჩებოდა. საქართველოდან ფაქტიურად ჩალის ფასად გადიოდა ნივთიერება, რომელიც მსოფლიო ბაზარზე ტონა დაახლოებით რვაასი დოლარი ფასობს. ამ „უყურადღებობამ“ ათასგვარი ეჭვები აღუძრა ხალხს, რომ ყველაფერი ზემოდან ხდებოდა. თეიმურაზ შაშიაშვილს, იმერეთის რეგიონის რწმუნებულად დანიშვნის შემდეგ ზესტაფონში ვიზიტისას სულ მუშტები უბრახუნებია მაგიდაზე: არანაირი მეტალის კერძო გატანა არ დამანახოთ და არ გამაგონოთო, მაგრამ კონცერნ „ზესტაფონის“ პრეზიდენტ თამაზ შარაშენიძეს შევარდნაძის ხელმოწერილი დადგენილება აუფრიალებია და გაუჩუმებია. რა ვიცი, კიდევ რას აღარ ამბობს ხალხი. შაშიაშვილი ფაქტიურად ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა, რომელმაც მოიწადინა ყოველგვარი კერძო ბიზნესის აკრძალვა ამ საქმეში. ამ ამბავმა ზოგი გაახარა, ზოგი დააღონა, მაგრამ თითქმის ყველა ერთნაირი ინტერესით ელოდა, რა იქნებოდა შემდეგ. გაიტანდა თუ არა თავისას ბ-ნი თემური, რომელსაც ისეთ კაცად იცნობენ, რომელიც თავის ნათქვამს არ გადაუხვევს. ზესტაფონში მისი ვიზიტის შემდეგ მართლაც დაიხურა კარიერი, შეჩერდა მუშაობა. ყველა გულის ფანცქალით ელოდა რა იქნებოდა ხვალ. „ჩვენ“ თუ „ისინი“, — ფიქრობდა ხალხი.

19 აპრილის შეხვედრაზე, რომელსაც რეგიონების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, კიდევ ერთხელ მწვავედ გამოვიდა თემურ შაშიაშვილი სილიკომანგანუმის თემაზე, იმდენად მწვავედ, რომ ზესტაფონში, თვეების განმავლობაში ვაგონებში ჩატვირთული „ჩაწოლილი პროდუქციის“ პატრონებს ეჭვიც შეეპარათ, წავიდოდა თუ არა ბოლო-ბოლო მატარებელი. მაგრამ მათდა სასიხარულოდ, მატარებელი სადგურიდან გავიდა 20 აპრილს, ღამის 3 საათზე (საერთოდ ამ ტვირთის გადაზიდვა ღამე ხდებოდა და ნამდვილად რომ გავიდა, ამის დადასტურება გამცილებელთა ჩვენებით შეგვიძლია) და ისე ჩავიდა ფოთში, რომ გზაზე არავის გაუჩერებია. სხვათა შორის, ფოთში ჩასვლამდე სხვა სადგურებთან ერთად დაუბრკოლებლად გაიარა რიონი და ქუთაისიც. ეს ამბავი გვაფიქრებინებს: იმდენად ძლიერი „ზურგი“ აქვს „ზესტაფონურ ბიზნესს“, რომ შაშიაშვილის ლაპარაკი ერთი ქართული ანდაზის მნიშვნელობას არ სცილდება: „ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“. ჰოდა ასე, ვილაცვილაცეებისთვის სასარგებლოდ „ფქვავს წისქვილი“ იმ სიმდიდრეს, რომლის პატრონებიც ჩვენ ყველანი ვართ. ბ-ნი შაშიაშვილი კი მოჯადოებული წრის შუაგულში მოქცეულ ადამიანს მოგვაგონებს, რომელსაც დიდი სურვილი აქვს ხმა მიაწვდინოს ამ წრის გარშემო მყოფთ, მაგრამ ვერ ახერხებს ამას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საერთო „სიყრუეს“ დაუსადგურებია ირგვლივ.

ლელა ხიდაშელი

ვის ხელში მოექცევა სახელმწიფო ქონება?

მიმდინარე ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებზე 27 აპრილს პრესკონფერენცია გამართა გაერთიანებულმა რესპუბლიკურმა პარტიამ. ჟურნალისტებს და დაინტერესებულ პირებს შეხვდნენ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის აღმასრულებელი მდივანი ბატონი რომან გოცირიძე და საპარლამენტო ფრაქცია „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე.

ძირითადად ყურადღება ვაუჩერზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე გამახვილდა.

ვაუჩერიზაციის პროცესი თავიდან ასე არ იყო ჩაფიქრებული, — განაცხადა რ. გოცირიძემ, — ჩვენი მიზანი იყო პრივატიზაციის შედეგად საწარმოთა გამოსვლა სახელმწიფოს მართვის დიქტატიდან, მაგრამ ამ შემთხვევაში კონსერვატული მინისტრთა ჯგუფი კარგავდა უფლებას საკონტროლო პაკეტზე. „დაჩაგრულ“ მინისტრებს დახმარების ხელი გაუწოდა სახელმწიფოს მეთაურმა და ვაუჩერიზაციის პროცესმა, რომელიც თავისთავად საჭიროა, ჩვენთან მიიღო გაუკუღმართებული ფორმა. უარყოფითი პროცესის განვითარებას ხელი შეუწყო ჯერ ერთი, სახელმწიფო ქონების არარეალურმა, ზედმეტად შემცირებულმა შეფასებამ, მეორეც — სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებამ, რომლის მიხედვით აქციების 51 , ანუ საკონტროლო პაკეტი გადაეცა შრომით კოლექტივებს. ამის შედეგად შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა გარკვეული პირების მიერ გამართულმა დირექტორთა კორპუსმა, დაშლილ და არარსებულ შრომით კოლექტივებს ამოფარებულმა ჯგუფებმა იწყეს საწარმოთა ხელში ჩაგდება და მათზე კონტროლის დაწესება. ამ დადგენილების შედეგად საქართველოს რიგითმა მოქალაქემ დაკარგა შესაძლებლობა გამხდარიყო საკუთრების მფლობელი მასზე კონტროლის უფლებით, რაგინდ მრავალრიცხოვანიც არ უნდა იყოს მოქალაქეთა ჯგუფი, ვაუჩერების რაგინდ უსაზღვრო მფლობელი, იგი შეიძლება გახდეს უკვე სხვის კონტროლქვეშ არსებული ქონების მხოლოდ რიგითი მეპაიე. ყველა მომგებიანი საწარმოს გამკარგულებელი გახდება ადამიანთა ის ჯგუფი, რომელთა ხელშია ფული და იარაღი. ეს კი აღრთხობს რეალურ (პირველ რიგში უცხოელ) ინვესტორს. სიტუაციის შეცვლა პრაქტიკულად შეუძლებელია, — ბრძანა რ. გოცირიძემ, — სახელმწიფოს მეთაური არ შეცვლის თავის გადაწყვეტილებას, რადგან ეს აღიქმება როგორც შეცდომის აღიარება, ამიტომ დღეს არსებული თამაშის წესის პირობებში მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ის მცირეოდენი შანსი, რომელიც თეორიულად მაინც არსებობს, რომ შედარებით სამართლიანად მოხდეს სახელმწიფო ქონების განკერძოება. ამისათვის აუცილებელია: სპეციალისტთა მიერ კონსულტაციების ჩატარება, საპრივატიზაციო ქონების შესახებ საჯაროობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო მეთვალყურეთა მოწვევა, სახელმწიფოს მიერ არასაპრივატიზაციოდ განკუთვნილი ობიექტების მაქსიმალურად შემცირების უზრუნველყოფა.

რაც შეეხება ვაუჩერს, ბატონ რ. გოცირიძის რეკომენდაცია ცალხახა იყო: ნუ გაყიდით ვაუჩერს, ამით დიდი-დიდი 10$ მოიგოთ, ხოლო გაუქმების შემთხვევაში 30$ წააგოთ, მასიურად დაგროვების შემთხვევაში (მინიმუმ 1000 ცალი) კი გეძლევათ საშუალება საკონკურსო აუქციონზე რეალურად მიიღოთ მონაწილეობა შემდეგი ვარიანტებით: ვაუჩერები გადაეცეს საინვესტიციო ფონდებს, შესაძლებელია ნდობით აღჭურვილმა პირებმა დააფუძნონ შ.პ.ს. და მათ გადაეცეთ მოქალაქეთა ჯგუფების მიერ შეგროვილი ვაუჩერები, ან ნაცნობების ჯგუფმა შეაგროვონ და გააერთიანონ ვაუჩერები და ბოლოს, ვაუჩერის გაყიდვა, რომელსაც ბატონი რომანი ნამდვილად არ გირჩევთ. დასასრულს აღინიშნა, რომ ასეთი ტიპის კონსულტაციები მალე სისტემატურ ხასიათს შეიძენს და მოსახლეობას გაუჩნდება საშუალება მიიღოს მაღალპროფესიული რჩევა მისთვის საინტერესო საკითხზე.

პრესკონფერენციას მოგვიანებით შეუერთდა ბატონი ვახტანგ ხმალაძე, რომელმაც ისაუბრა მცირე კონსტიტუციის იდეის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დრო არ ითმენს, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია კვლავ წარადგენს პარლამენტის სხდომაზე მცირე კონსტიტუციის იდეას, წინააღმდეგ შემთხვევაში არჩევნებს ჩატარების საფრთხე ემუქრება, ამის დაშვება კი არ შეიძლება.

ბესიკ თამაზის ძე აბულაძე

1993 წლის 16 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დროს, გუმისთაში წინა ხაზზე გმირულად დაიღუპა 22 წლის ბესიკ თამაზის ძე აბულაძე. მას სულ ახლახან 24 წელი შეუსრულდებოდა. მშობელი მხარის დაცვას შესწირა ახალგაზრდა ჭაბუკმა თავისი სიცოცხლე. პოეტმა ავთანდილ მეგრელიშვილმა ლექსი მიუძღვნა დაღუპული ჭაბუკის ხსოვნას:

„... შენს სისხლზე ია ამოვა,
არა ნარი და ეკალი.
მას დაჭრეფს შენი ჯიშისა,
შენი სიცოცხლეც ეგ არის.
იყავი, ხარ და იქნები
მამულის გმირი დამცველი
არასდროს არ დაგელევა –
შესანდომარის დამცველი!“

მარადიული ხსოვნა იყოს სამშობლოსათვის თავშეწირული ჭაბუკისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუბილე

მემედ აბაშიძე 120 (1873 - 1937)

საქართველოს ერთიანობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი

1 მაისს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ჩატარდა საქართველოს ერთიანობისათვის თავდაუზოგავი მებრძოლის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის მემედ აბაშიძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო...

მემედ აბაშიძის დაბადებიდან 120 წელი ორი წლის წინ შესრულდა, მაგრამ ქვეყნად შექმნილი მძიმე სიტუაციის გამო თავის დროზე საიუბილეო საღამო არ ჩატარებულა. ჩვენი გაზეთის რედაქცია მაშინ პირველი გამოეხმაურა ღირსეული მამულიშვილის საიუბილეო თარიღს და ახლაც თავის ვალად რაცხს დაუბრუნდეს ამ თემას, რადგან მემედ აბაშიძის ღვაწლი სამშობლოს წინაშე დაუვიწყარია.

მემედ აბაშიძე საქართველოს ძირძველი მხარის, აჭარის შვილი გახლდათ და ისე როგორც აჭარა განუყოფელია საქართველოსაგან, ასევე განუყოფელი იყო მემედ აბაშიძის მოღვაწეობა ერთიანი საქართველოს ინტერესებისაგან. მისი განვლილი გზა მოწამეობრივია — დაპატიმრებები, ციხიდან გაქცევა, ორი შვილის დაკარგვა, გადასახლებები და ა.შ. ამის მიუხედავად ის არასოდეს დაცემულა სულით, არ უღალატია ერთხელ არჩეული გზისათვის, გზისათვის, რომლის მთავარი მიზანიც საქართველოს მთლიანობა და ერთიანობა იყო. ამ მიზნისათვის ბრძოლისას კი მემედ აბაშიძე შეუვალი და უდრეკი იყო და ზოგჯერ ისეთი ქმედებებიც ჩაუდენია, რომ დღევანდელი გადასახედიდან დაუჯერებელიცაა. გავიხსენოთ, თუნდაც მისი საჯარო „მისალმება" ბათუმში შემოსული თურქების სამხედრო ძალების ხელმძღვანელებისადმი, როცა მათ სტუმრის სტატუსი მიაკუთვნა და ბათუმის მალე დატოვება უსურვა. ასევე ღირს გასახსენებლად ის ფაქტი, რომ მემედ აბაშიძემ ქართველების შეურაცხმყოფელ რუს გენერალს საჯაროდ სილა გააწნა. ამგვარი „გამოხდომები" მისი მხრიდან არაერთია.

მემედ აბაშიძე საბოლოოდ მაინც ვერ გადაურჩა უმკაცრეს აღსასრულს და იგი 1937 წელს, ისევე როგორც მისნაირი ბევრი პატრიოტი ქართველი, ბოლშევიკური რეპრესიული მანქანის მსხვერპლი გახდა...

მემედ აბაშიძეზე საკმაოდ ბევრია დაწერილი (წიგნები, ლექსები, წერილები, მოგონებები), მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესოა თანამედროვე ცნობილი ქართველი პოეტის ზურაბ გორგილაძის ლექსი — „მემედ ბატონო!", რომელსაც აქვე გთავაზობთ:

მემედ ბატონო!

ქოხების ხორხში ამოსული
ქართული სულის, —
დიდო პატრონო...
ვენახის კვამლში დაკარგული
ქართული ქნარის,
—
მკვიდრო პატრონო...
ზარების შიგნით შეხიზნული
ქართული სიტყვის, —
ტყვეო პატრონო...
ლოდების ძირში შემოწყობილ
ქართული ძვლების, —
ძველო პატრონო...
დიდება შენი, დიდება და
ცხონება შენი, —
მემედ ბატონო!
რა საჭიროა, რომ გიხსენო
სამასი წელი, —
წელი წასული,
გონიოს შიგნით მოშლიგინე
შავპირი ცელი,
სულ თავგასული...
მაჭახლის თავთან დადებული
ცული და კუნძი, —
რჯულის სასწორი,
სიკვდილის კართან დუმილი
და ღიმილი ძუნწი, —
ძალა კაცობის...
ხირხათის ბეჭზე მოხეთქილი
ბებერი მუხა, —
ზვავის ფაფარი.
ვისთვის სიკვდილი, ვისაც
მისი ქვეყანა უყვარს, —
ვისთვის ზღაპარი...
და თუ ვახსენე, ნაოხრალმა
კახეთმა რა თქვას, —
მემედ ბატონო!
კისერმა კევრით დაღლეტილმა
რა თქვას, —
ბატონო!
ძუძუმ დაჭეჭკილ-დაშეშხილმა
რა თქვას, —
ბატონო!
სისხლში დამხრჩვალმა
ალაზანმა რა თქვას,
ბატონო!
რა თქვას ბატონო, და, —
რა ქნას ბატონო!..
იყალთოს ტაძარს ენგრეოდა
ტანი ტიტანი.
კახეთში ჩიტიც აღარ დარჩა
ამბის მიმტანი.
შიგან ყორნები ფარფატებდნენ
ჩვეულ სისხარტით
და შავ ქოჩრებზე წმენდნენ
სისხლში მოთხვრილ ნისკარტებს.
აქეთ, კოლხეთში, რიონის თუ
რუხის ნაპირთან,
იყო კივილი, თმების ზლეწვა,
ბღოტვა თავპირთა,
რამდენი სისხლში გადაშენდა
და გადაკნინდა,
რამდენი თავის ხორცის
ნაგლეჯს გლეჯდა აკვნიდან, —
გლეჯდა, ბორკავდა და
მიჰყავდა მწითურ თათართან
და მაინც!.. მაინც!
საქართველო აღარ გათავდა.
რა საჭიროა, რომ გაიხსენო ეს
ყველაფერი,
ზურნის ჭიჭყინი თუ ველური
დაფი დაფების...
რა საჭიროა!..
წვეთწვეთობით თუ
მისხალ-მისხალ,
დიდი წინაპრის ძახილის თუ
ანდერძის ნიშნად,
რაღაცნაირად ახმაურდა
ქართლოსის სისხლი,
და თავი თვისი მოიყარა
ქართლოსის ჯიშმა,
მადლობა გამჩენს!—
ამ კურთხეულ მიმოსახედში,
ორი ქართველიც სამშობლოს
ნიშნავს.
ლოდების ძირში შემოწყობილ
ქართული ძვლების, —
დიდო პატრონო,
დიდება შენი, დიდება და
ცხონება შენი, —
მემედ ბატონო!

ახალი ეპარქია

1995 წლის 23 მარტს (5 აპრილი ახ. სტილით) საპატრიარქოს რეზიდენციაში შედგა წმ. სინოდის სხდომა — საეკლესიო კრება. კრებამ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ ამიერიდან საქართველოში იფუნქციონიროს 27 საეპისკოპოსო კათედრამ.

წმინდა სინოდის განჩინებით შეიქმნა რამდენიმე ახალი ეპარქია, მათ შორის— ბათუმისა და სხალთის ეპარქია (ქ. ბათუმი, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს რაიონები). მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი ბათუმისა და სხალთისა". კათედრა ბათუმსა და სხალთაში, რეზიდენცია ბათუმსა და ქობულეთში. მმართველი მღვდელმთავარი ეპისკოპოსი იობი (აქია შვილი).

საქართველოს ძირძველ ისტორიულ აჭარის მხარეში, სადაც ერთ-ერთი პირველი იქადაგეს და გავრცელდა ქრისტიანობა, ახალი დამოუკიდებელი ეპარქიის შექმნა, თავის კეთილ როლს შეასრულებს ქართველთა სულიერი ერთობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

ეკა ზღულაძე

სხვა გაზეთებიდან

გიტარა და ავტომატი

ოცდაერთი წლისაც არ იყო რობინ ქოზაევი. დაიბადა ინტელიგენტის ოჯახში. მამა — ხაზბა ქოზაევი ჟურნალისტი იყო, დედა იულია გაბარაევა ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატია, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი.

რობინმა სკოლა რომ დაამთავრა, უნივერსიტეტში მოეწყო ინგლისური ენის ფაკულტეტზე. მან მუსიკალური სკოლაც დაამთავრა. გატაცებული იყო სპორტით.

ქართულ-ოსური კონფლიქტი რომ დაიწყო, რობინმა გიტარა გვერდზე გადადო და ავტომატი მოიმარჯვა.

მერე ომი დაიწყო აფხაზეთში და ახლა იქით გაემართა სხვა მოხალისეებთან ერთად, რომ მოძმე აფხაზ ხალხს დახმარებოდა ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში... რობინი სიმბოლოა პატარა ხალხის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა — წერდა აფხაზური გაზეთი „ბზიფი".

1993 წლის 7 აგვისტოს სოფელ შრომასთან ბრძოლისას რობინი ნაღმზე აფეთქდა. 7 დღეს ეძებდნენ და 300 დაღუპულთან ერთად მისი ცხედარიც ამოიცნეს. იგი გადმოასვენეს თავის სოფელ ყორნისში. სიკვდილის შემდეგ მას მიენიჭა „კავკასიის გმირის" წოდება. რობინ ქოზაევის სახელი მიეკუთვნა სოხუმის ერთ-ერთ ქუჩას. მის საფლავზე ფრიალებს ორი დროშა: აფხაზური და ოსური.

„ჩვენ ვამაყობთ აფხაზი ხალხით, რომელმაც საკადრისი პასუხი გასცა ქართველ აგრესორს, ამბოს რობინის დედა, — მე ვამაყობ ჩემი შვილით, რომელიც ძნელ დროს მოძმე აფხაზი ხალხის გვერდით დადგა".

გაზ. „შიდა ქართლი"
სექტემბერი, 1994 წ.

რედაქციისაგან

მკითხველის ყურადღება გვინდა პირველ რიგში ერთ გარემოებას მივაქციოთ. ქართულ-ოსური კონფლიქტის გამო ქართულ მხარეს, უფრო სწორად საქართველოს ხელისუფლებას, ვერავინ ასწრებს თავზე ნაცრის დაყრას. რა თქმა უნდა, მათი აზრით, ქართული მხარეა დამნაშავე. ჩვენ მოგვიწყვია ოსების გენოციდი, ფაშისტურ მიზნებსა და ლტოლვას ავყოლივართ და ა.შ. ეს სახელისუფლო პასიური მაზოხიზმი, თვითგვემა იმის გამო ხდება, რომ ოსები დაანამუსონ — ჩვენ ჩვენს შეცდომებს ვგრძნობთ, თქვენი დანაშაული თქვენც აღიარეთ და „თვითგანწმენდის" საფუძველზე კვლავ ერთად მისასვლელი გზები ვიპოვოთო.

აქ წარმოდგენილი წერილით მკითხველი კარგად დაინახავს, თუ როგორ პასუხობს ოსური მხარე ჩვენი ხელისუფლების თვითგვემას. ქართველთა სისხლში ამოვლებულ ოს ბოევიკებს კავკასიის გმირებად აცხადებენ და შთამომავლობას იმათ „გმირულ საქმეთ" ზნეობრივ მაგალითად უსახავენ. მტრისაგან ეს გასაკვირი არც უნდა იყოს.

საკვირველი სხვა რამ არის. რა მიზნით გადმოიბეჭდა ეს წერილი გაზეთ „შიდა ქართლში" ყოველგვარი კომენტარის და პირველწყაროს მითითების გარეშე?

ეს სწორედ ის შემთხვევაა, რომელსაც კომენტარი დიახაც სჭირდებოდა...

ბატონ ლევან ხაინდრავას ხსოვნას

ლევან ხაინდრავას სამუშაო ოთახში ძველი სურათია — ლევან ხაინდრავას ოჯახი ქუთაისის გუბერნიის სოფელ ლეხაინდრაოში. დიდი ლევანის ნაციონალისტი ვაჟი ივლიანე საუკუნის დასაწყისში გააციმბირეს, საიდანაც ჩინეთში გაიქცა და ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელი გახდა ხარბინში. იქ დაიბადა ბ-ნი ლევან ხაინდრავა. იგი მამისეული სამფეროვანი ქართული დროშით ჩამოვიდა სამშობლოში, ისიც გაუყენეს ციმბირის გზას, როგორც „ბედნიერი საბჭოთა ხალხისათვის“ საშიში ნაციონალისტი.

ლევანი, ივლიანე, ლევანი, ივლიანე — ბევრი არაა მსგავსი დიდი ქართული ოჯახი, მთელი საუკუნე რომ თავისუფლებისთვის იღვწის, ატარებს ამ მძიმე ტვირთს, რათა გოგას პატარა ლევანი და მისი თაობა ლაღი და წელგამართული შებრძანდეს თავისუფლების ათასწლეულში.

ბ-ნი ლევანი ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, კეთილშობილი ქართველი პატრიოტი იყო. იგი ქართული სახელმწიფოს დაჭრა-დაჩეხვით იფერფლებოდა; ლევან ხაინდრავა ჩვენი მამების თაობის ერთი იმ ოცდათთაგანია, ვისთვისაც ჯანმაგარი ქართული სახელმწიფო უპირველესი და დაუთმობი ფასეულობაა.

აფხაზეთი ლევან ხაინდრავას ვეება ტკივილი იყო. არც მინახავს თბილისში სხვა ვინმე, ვინც მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთის ომით დაბრუნების წყურვილით სულდგმულებდა.

... ლევან ხაინდრავას შვილები და მათი მეგობრები რომ ფსოუს წყალს დაეწაფებით, საზღვარზე სახელმწიფოს სამფეროვან დროშას აღვმართავთ, მაშინ პირველნი გაგრის ქართული სკოლის ბავშვები გაიგებენ მის სახელს და ეს ამაყი სახელი ჩვენს მოდგმას მუდამ ემახსოვრება.

დათო ბერძენიშვილი

ღირსეული კაცი

დღეს უკანასკნელ გზაზე მიგაცილებთ ბიძია ლევან, გეთხოვებით კაცს, საქართველოდან ათასობით კილომეტრში, შორეული ჩინეთის ქალაქ ხარბინში, უფროსი თაობის ქართველთა მიერ მოქსოვილ დამოუკიდებელი საქართველოს დროშას რომ ელოლიავებოდით ბავშვობიდან. დამოუკიდებელი საქართველოს იდეით იზრდებოდით და მერეც, უკვე ხანში შესული, ამ იდეის და ამ დროშის უპირველესი დამცველი ბრძანდებოდით.

ხშირად ვერ გხვდებოდით ბიძია ლევან, მაგრამ თითოეული შეხვედრის შემდეგ პატრიოტული იმპულსებით დამუხტული და ქართული სულით დატენილი ფილტვებით ვტოვებდი თქვენს კაბინეტს. ბავშვივით მიხაროდა სულ მცირე შექება თქვენგან, მიხაროდა და მეამაყებოდა. უსაზღვრო იყო თქვენი თვალსაწიერი და მეც, თქვენი მოწაფეობის მოსურნე, სულგანაბული ვუგდებდი ყურს თქვენს დახვეწილ საუბრებს კლასიკურ მუსიკაზე, საფრანგეთის ისტორიაზე, ქართულ ეროვნულ დროშაზე და რა თქმა უნდა თქვენს „ორთავ თვალის სინათლე“, საყვარელ მამულსა და მშობელ ქვეყანა — საქართველოზე, რომელზე საუბარიც აფხაზეთის პრობლემაზე, აფხაზეთის ომზე საუბარსაც ნიშნავდა, იმ ომზე, სადაც თითოეული ჩვენი მარცხი, უცოდინარი ქირურგის ლანცეტის ცივი გულმოდგინებით სერავდა თქვენი უფაქიზესი გულის სისხლძარღვებს და რიგრიგობით ახშობდა და ჰკლავდა თითოეულ მათგანს.

მე ვიცი, აფხაზეთის დაბრუნება მხოლოდ თქვენი გეგმით შეიძლება ბიძია ლევან...

აი, თქვენი ფოტო, სუკის დანგრეული და დამწვარი შენობის წინ რომ გადაგიღიათ 1992 წლის თებერვალში, იმ ალაყაფის კარის წინ, საიდანაც ოცდაათწლიანი გადასახლების შემდეგ კიდევ ერთხელ კარგა ხნით შეგაბრუნეს КГБ-ს ჯურღმულებში. ჩვეულებისამებრ გამოწკეპილი და სუფთად გაპარული, ნაღვლიანი და ამავე დროს იმედიანი თვალებით შემოგვყურებთ გადაბუგული შენობის ფონზე. გაუტეხელი სულის საოცარი სიამაყე იგრძნობა ამ ფოტოში.

ერთხელ, როცა ახალი წელი მოგილოცეთ, მითხარით — ახალი წელი ჩემთვის დღესასწაული არ არის, ჩემთვის მთავარი შობა და აღდგომაა. გარდაცვალებამდე რამოდენიმე დღით ადრე, უკანასკნელად შეხვდით აღდგომას საკუთარ ოჯახში. თქვენ პირნათელი წარსდგებით უფლის წინაშე. ჩვენ კი, თქვენს შთამომავლებს დაგვიტოვეთ უსაზღვრო საფიქრელი ამსოფლად კაცის მოვალეობაზე, უსაშველო სიყვარული მშობელი ქვეყნისა და კიდევ უმძაფრესი განცდა იმისა, ბედუკულმართობის მიუხედავად როგორ უნდა გაიარო ცხოვრება და დარჩე კაცად, ღირსეულ კაცად.

ფრიდონ საყვარელიძე

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია სამძიმარს უცხადებს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრს პარლამენტარ ივლიანე ხაინდრავას მამის, ცნობილი მწერლის

ლევან ხაინდრავას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ივლიანე და გოგა ხაინდრავებს მამის, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ლევან ხაინდრავას გარდაცვალების გამო.



ჰორიზონტალურად: 3. მიმდინარეობა ხელოვნებაში. 5. ხელოვნების ნაწარმოების ან სამეცნიერო ნაშრომის შეფასება, გარჩევა. 8. მოკლე, მსუბუქი ხასიათის პიესა. 9. ქართველი პოეტი, რომანტიკოსი. 10. მე-19 ს. უნგრელი მწერალი. 13. რაიმესადმი უწყინარი, დამცინავი დამოკიდებულება. 14. მე-18 ს. დიდი ავსტრიელი კომპოზიტორი. 15. ვისიმე ცხოვრების აღწერა. 19. პიროვნება, რომელიც გამოიყენა ავტორმა მხატვრული სახის შესაქმნელად. 22. ლექსის ფორმა. 23. მომავალი სპექტაკლის, კონცერტის გამოცხადება. 25. პოეტური ნაწარმოები. 27. გამონათქვამი, რომელიც ეწინააღმდეგება საღ აზრს. 28. ბერძნული მითოლოგიური პერსონაჟი, ჯადოქარი ქალი. 29. დიდი რომაელი პოეტი. 30. წინადადებაში სიტყვათა წყობის შეცვლა.

ვერტიკალურად: 1. ზეინკლის იარაღი. 2. სიმებიანი საკრავი. 3. ლიტერატურული ნაწარმოები: 4. ძვ. ბერძნული მითოლოგიური პერსონაჟი, დედალოსის ვაჟი. 5. ლატვიური ლიტერატურის კლასიკოსი. 6. ტექსტის ნაწილი. 7. XVIII—XIX ს. იტალიელი კომპოზიტორი. 11. ჩუქურთმა. 12. XVIII—XIX ს. რუსი მწერალი და კრიტიკოსი. 16. შექსპირის ტრაგედია. 17. კედლის ბორდიური, არშია. 18. თეატრალური ჟანრი. 20. იტალიელი არქიტექტორი, მოღვაწეობდა რუსეთშიც. 21. მე-20 ს. ცნობილი ინგლისელი მწერალი და დრამატურგი. 22. ჩქარი ტემპის, მხიარული ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები. 24. აღმ. საქართველოს ძველი სახელწოდება. 26. ნაყოფიერების ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში. 28. გამოჩენილი ამერიკელი კინომსახიობი ქალი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. რევიუ. 5. ნოიდი. 8. კაენი. 9. შაირი. 10. ამადუ. 11. ჰურია. 13. ჰიმნი. 14. ბერანჟე. 15. რითმა. 16. რადიო. 17. მასნე. 21. დრამა. 23. ლომოური. 24. საადი. 26. აბელი. 28. ერაკი. 29. ჭინკა. 30. ფლორა. 31. ბლოკი. 32. იროდი.

შვეულად: 1. ბერნსი. 2. ედგარი. 4. უტამარო. 6. ბახუსი. 7. ფრანსი. 12. აბაშელი. 18. ადაჯიო. 19. ამირანი. 20. პუშკინი. 22. მალარი. 25. დეკელი. 27. ბალადა.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე, თამაზ დიასამიძე, გელა ეგანოიძე (პასუხისმგებელი მდივანი), მიხეილ მახარაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თედო პაატაშვილი, ივლიანე ხაინდრავა.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447.

ფასი 300. 000 კუპონი ან 1200 რუბლი

ტელეფონები:

რედაქტორი:
93-20-36,

რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი:

93-19-99
93-18-41